

შპს „მეგარონ“

2018 წლის სპეციალური დანიშნულების
ფინანსური ანგარიშგება


შპს "მეგარონ"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	261880	199171	
ფულადი სახსრები	138083	94886	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	26521	17300	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	37958	27049	3.3
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	11309	10578	3.4
წინასწარ გადახდილი გადასახადები	47572	48597	
სხვა მიმდინარე აქტივები	437	761	
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	4176365	3585613	
ძირითადი საშუალებები	4175941	3585136	3.5
არამატერიალური აქტივები	424	477	3.6
სულ აქტივები:	4438245	3784784	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	1044734	2288857	
სავაჭრო ვალდებულებები	1773	1323	
მოკლევადიანი სესხები	258936	147442	3.7
საგადასახადო ვალდებულებები	81116	147478	
გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები	662604	1963819	3.8
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	40305	28795	
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	473661		
გრძელვადიანი სესხები	473661		3.9
<i>სულ კაპიტალი:</i>	2919850	1495927	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	2000	2000	
დაგროვილი მოგება / დაუჯარავი ზრალი	2917850	1493927	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	4438245	3784784	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი  ალექსი ბუზოდლი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს "მეგარონ"

მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდის შენიშვნა	
	2018	
ამონაგები	2369770	3.10
რეალური მფლობელების / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-937	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	2368833	
მიწოდების ხარჯები	-143956	3.11
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-689790	3.12
სულ საოპერაციო ხარჯები:	-833746	
დადებითი საკუთარი სხვაობები	7014	
სხვა გაუვალი ისწინებელი შემოსავლები	47	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	7061	
ფინანსური დანახარჯები	-47381	3.13
ურყოფითი საკუთარი სხვაობები	-66844	
სხვა გაუვალი ისწინებელი ხარჯები	-4000	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-118225	
მოგება დაზღვრამდე:	1423923	
მოგების გადასახადის ხარჯი		
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი:	1423923	
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:		
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	1423923	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1495927	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	1423923	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:	2919850	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი _____ ალექსი ბუზოდლი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განყოფილის ნაწილი

შპს "მეგარონ"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2730248
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-483209
გაცემული შრომის ანაზღაურება	-196914
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	-519550
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-6325
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	1524250
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-656409
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-656409
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
სესხების აღება	917785
სესხების დაფარვა	-393871
გადახდილი პროცენტები	-47381
გადახდილი დივიდენდები	-1301215
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-824682
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	38
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	43197
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	94886
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	138083

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი _____

ალექსი ბუზოდლი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები			
მიმდინარე აქტივები, სულ:	261880	199171	
ფულადი სახსრები	138083	94886	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	26521	17300	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	37958	27049	3.3
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	11309	10578	3.4
წინასწარ გადახდილი გადასახადები	47572	48597	
სხვა მიმდინარე აქტივები	437	761	
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	4176365	3585613	
ძირითადი საშუალებები	4175941	3585136	3.5
არამატერიალური აქტივები	424	477	3.6
სულ აქტივები:	4438245	3784784	
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	1044734	2288857	
სავაჭრო ვალდებულებები	1773	1323	
მოკლევადიანი სესხები	258936	147442	3.7
საგადასახადო ვალდებულებები	81116	147478	
გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები	662604	1963819	3.8
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	40305	28795	
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:	473661		
გრძელვადიანი სესხები	473661		3.9
სულ კაპიტალი:	2919850	1495927	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	2000	2000	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზრალი	2917850	1493927	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	4438245	3784784	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი _____ ალექსი ბუზოდლი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განყოფილი ნაწილი.

შპს "მეგარონ"

მოგება-ზრალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდში შენიშვნა	
	2018	
ამონაგები	2369770	3.10
რეალ ობიექტის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-937	
მოგება ან ზრალი რეალ ობიექტიდან	2368833	
მიწოდების ხარჯები	-143956	3.11
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-689790	3.12
სულ საოპერაციო ხარჯები:	-833746	
დადებითი საკუთარი სხვაობები	7014	
სხვა გაუფალისწინებელი შემოსავლები	47	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	7061	
ფინანსური დანახარჯები	-47381	3.13
ურყოფითი საკუთარი სხვაობები	-66844	
სხვა გაუფალისწინებელი ხარჯები	-4000	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-118225	
მოგება დაბეგვრამდე:	1423923	
მოგების გადასახადის ხარჯი		
სულ პერიოდის მოგება ან ზრალი:	1423923	
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:		
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	1423923	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1495927	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	1423923	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:	2919850	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი _____ ალექსი ბუზოდლი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "მეგარონ"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2730248
მიმწოდებელზე გაცემული ფულადი სახსრები	-483209
გაცემული შრომის ანაზღაურება	-196914
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	-519550
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-6325
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	1524250
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-656409
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-656409
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
სესხების აღება	917785
სესხების დაფარვა	-393871
გადახდილი პროცენტები	-47381
გადახდილი დივიდენდები	-1301215
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-824682
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	38
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	43197
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	94886
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	138083

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი _____ ალექსი ბუზოდლი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2018 წლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „მეგარონ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2003 წლის 03 ივლისს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 205008882, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისის საბურთალოს რაიონში, საბურთალოს ქ. N 42, ბინა 12. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაქსდელ (ოვერსის) ლიმიტედ“, 142243 /კვიპროსი/, თემისტოკლი დერვილ, 3 ჯულია ჰაუს, ნიქოზია.

1.3. კომპანიის დირექტორია ალექსი ბუზოლდი (პ/ნ 01030005125).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საკუთარი უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, აგლადის ქ. N 15.

1.5. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2018 წელს შეადგენდა 41 კაცს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან,

როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის

უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

დიზელ-გენერატორები და ელ. გადამცემი საშუალებები -5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სარეკლამო საშუალებები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის

წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

დასახელება	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	117513	91073
ლარი საბანკო ანგარიშებზე	19783	3311
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	786	501
სულ:	138083	94886

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

დასახელება	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები	26521	17300
სულ:	26521	17300

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე, სულ - 92 დებიტორი 31.12.2018 წ. მდგომარეობით.

3.3. გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

დასახელება	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
რეზიდენტი მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	33184	26549
წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	4774	500
სულ:	37958	27049

31.12.2018 წ. მდგომარეობით არსებული ავანსებიდან უდიდესი - 32011 ლარის ოდენობით, 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით არ არის დახურული.

3.4. მარაგები:

დასახელება	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10417	10011
საწვავ-საცხები მასალები	891	567
სულ:	11309	10578

3.5 ძირითადი საშუალებები:

დასახელება	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
მიწა	2991179	569318	0	2421860	0	0	2421860
დაუმთავრებელი მშენებლობა	111031	54499	0	56531	56531	0	0
შენობები	727691	38325	52935	742301		52935	795237
ნაგებობები	315866	0	24980	340846	11900	23375	352321
დოზელ-გენერატორები და ელ. გადამცემი საშუალებები	7243	5407	2589	4425	606	2267	6085
კომპიუტერები და აღჭურვილობა	2477	745	1867	3599	4670	1070	0
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1772	1694	321	398	942	543	0
სარეკლამო დანიშნულების ძირითადი საშუალებები	15998	15000	8839	9838	3578	6108	12367
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	2684	2018	4671	5337	4634	3867	4570
სულ:	4175941	687007	96202	3585136	82860	90165	3592441

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 1 270 427 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 1 174 225 ლარი.

3.6. არამატერიალური აქტივები:

დასახელება	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
პროგრამული უზრუნველყოფა	424	0	53	477	0	53	530
სულ:	424	0	53	477	0	53	530

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 106 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 53 ლარი.

3.7. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

დასახელება	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მოკლევადიანი სესხი ფინანსური ინსტიტუტებიდან უცხოურ ვალუტაში	258936	147442
სულ:	258936	147442

3.8. გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები:

დასახელება	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გადასახდელი დივიდენდი	662604	1963819
სულ:	662604	1963819

2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დამფუძნებლის მიმართ არსებული დივიდენდის დავალიანების დასაფარად გადახდილია 626430 ლარი.

3.9. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

დასახელება	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გრძელვადიანი სესხი ფინანსური ინსტიტუტებიდან უცხოურ ვალუტაში	473661	0
სულ:	473661	0

3.10. ამონაგები საიჯარო მომსახურებიდან და სხვა საოპერაციო შემოსავლები

დასახელება	2018 წელი
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	2176932
შემოსავალი პარკინგის მომსახურებიდან	153981
შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	37987
სხვა შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	871
სულ:	2369770

3.11. მიწოდების ხარჯები:

დასახელება	2018 წელი
რეკლამის ხარჯი	87026
მიწოდების სხვა ხარჯი	56930
სულ:	143956

3.12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

დასახელება	2018 წელი
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	245555
ელექტროენერგიის ხარჯი	152011
გაზი, წყალი და ანალოგიური ხარჯები, გარდა ელექტროენერგიისა	61911
ცვეთა და ამორტიზაცია	96255
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	3726
კომუნიკაციის ხარჯები	8099
საგადასახადო ხარჯები	19519
დასუფთავების ხარჯი	55426
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	47288
სულ:	689790

3.13. ფინანსური დანახარჯები

დასახელება	2018 წელი
საპროცენტო დანახარჯები	47381
სულ:	47381

3.14. საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი):

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების

გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები).

კომპანიის 2018 წლის ფინანსური შედეგი არ არის შემცირებული მოგების გადასახადის ხარჯით, დაბეგვრის ზემოაღნიშნული მოდელის შესაბამისად, რადგან 2017-2018 წლის მოგების განაწილება ჯერ არ მომხდარა. 2018 წელს გაცემული დივიდენდები წარმოშობილია 2016 წლის (ან უფრო ადრინდელი პერიოდის) მოგების განაწილებიდან, რომლიდანაც მოგების გადასახადი გადახდილია წინა საგადასახადო პერიოდებში.

3.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.